

# რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო

2025 წლის თებერვალი



# რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო

2025 წლის თებერვალი

მომზადებულია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ (TDI)  
[www.tdi.ge](http://www.tdi.ge)



ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) აგრძელებს დაკვირვებას რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით არსებულ გარემოზე. მონიტორინგი მოიცავს საჯარო უწყებების, პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკოსების, საჯარო პირების, სასულიერო პირებისა და რელიგიური ინსტიტუტების განცხადებებსა და აქტივობებს.

წინამდებარე მიმოხილვა ასახავს 2025 წლის თებერვლის პერიოდს.

ასევე შეგიძლიათ, იხილოთ რელიგიის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით მონიტორინგის 2024 წლის ანგარიშები:

**წინასაარჩევნო პერიოდი:**

[25 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე](#)

[25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე](#)

**არჩევნების შემდგომ პერიოდში:**

[26 ოქტომბრიდან 26 ნოემბრამდე](#)

[26 ნოემბრიდან 26 დეკემბრამდე](#)

[26 დეკემბერი - 2025 წლის 31 იანვარი](#)

ფოტო გარეკანზე: გიორგი მოსიაშვილი (მოსე)



# სარჩევი

ძირითადი მიგნებები	4
1. „ქართული ოცნებისა“ და მისი სატელიტების მიერ რელიგიითა და იდენტობით მანიპულირება	5
1.1. ქართული ოცნების ფსევდორელიგიური ნარატივი ქრისტიანობის დაცვასთან დაკავშირებით	6
1.2. ანტიდასავლური და პროპაგანდისტული გზავნილები პარტნიორი ქვეყნებისგან მიღებულ ფინანსურ მხარდაჭერასთან დაკავშირებით	7
1.3. პროვეროპული აქციების დისკრედიტაცია რელიგიურ კონტექსტში	10
2. მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილის პროპაგანდისტული, ანტიდასავლური განცხადებები	11
3. მართლმადიდებელი სასულიერო პირების ძალადობის დამგმობი და დემონსტრანტების მხარდამჭერი განცხადებები	13
3.1. ძალადობის დაგმობა და პასუხისმგებელი პირების კრიტიკა	13
3.2. განცხადებები დემონსტრანტების მიმართ რეპრესიებზე	14
3.3. განცხადებები მზია ამალაშვილის უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით	15

## ძირითადი მიგნებები

საანგარიშო პერიოდში „ქართულმა ოცნებამ“ დაჩქარებული წესით დააინიცირა ანტიკონსტიტუციური და არადემოკრატიული რეპრესიული კანონები, რაც ავტორიტარული მმართველობის კონსოლიდაციისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

„ქართული ოცნება“ კვლავინდებურად მანიპულირებს ფსევდორელიგიური ნარატივებით და თავს წარმოაჩენს ქრისტიანობისა და ტრადიციების მცველ პოლიტიკურ ძალად, ხოლო ოპონენტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კრიტიკული მედია და პოლიტიკური ოპოზიცია, მათი თქმით, ებრძვიან ქართულ ტრადიციებს, რელიგიასა და ეროვნულობას.

რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებაზე საუბრისას, „ქართული ოცნება“ და მისი სატელიტები მანიპულაციურად იყენებენ „ეკლესიის მტრობის“ არგუმენტსაც.

ხშირია, ანტიდასავლური და პროპაგანდისტული გზავნილები პარტნიორი ქვეყნებისგან მიღებულ ფინანსურ მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მაგალითად, „USAID ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას, ეკლესიისა და ეროვნული ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლას აფინანსებდა,“ ხოლო „ევროკავშირის მიერ გამოყოფილი თანხა საქართველოში რადიკალიზმის დაფინანსებას და ანტიეკლესიურ საქმეს მოხმარდება“. „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის თქმით, ამ კონტექსტში, „ევროკავშირის ელჩი საქართველოში არის მეფის ნაცვალი, რომელიც ლანძღავდა ქართულ ტრადიციებს, ქართულ ეკლესიას და მიდიოდა ქართველი ხალხის არჩევანის წინააღმდეგ.“

„ქართული ოცნების“ პროპაგანდის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილი, კვლავინდებურად მიმდინარე პროევროპული დემონსტრაციების დისკრედიტაცია, დემონსტრანტების ეკლესიასთან და ქრისტიანულ ღირებულებებთან მეზრძოლ ძალად წარმოჩენაა.

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, დადებით ტენდენციად უნდა აღინიშნოს მართლმადიდებელი სასულიერო პირების მზარდი განცხადებები, რომლითაც ისინი გამოხატავენ მტკიცე მხარდაჭერას პროევროპული დემონსტრანტების, სინდისის პატიმრებისა და თავისუფლებისათვის მეზრძოლი პირების მიმართ. ისინი ქრისტიანული პერსპექტივიდან საუბრობენ ადამიანის ღირსებაზე, თანასწორობასა და თავისუფლებაზე, გმობენ პოლიტიკურ რეპრესიებს და მხარს უჭერენ საქართველოს პროევროპულ კურსს.

მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ნაწილი ქადაგებებსა და საჯარო გამოსვლებში კვლავ აგრძელებს როგორც ხელისუფლების მხარდამჭერ, ისე სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებების და ევროკავშირის საწინააღმდეგო რიტორიკას.

# 1. „ქართული ოცნების“ და მისი სატელიტების მიერ რელიგიითა და იდენტობით მანიპულირება

„ქართული ოცნება“ კვლავინდებურად მანიპულირებს ფსევდორელიგიური ნარატივებით და თავს წარმოაჩენს ქრისტიანობისა და ტრადიციების მცველ პოლიტიკურ ძალად. ამ კონტექსტში, ოპონენტები, უფლებადამცველები, მედია და სამოქალაქო აქტივისტები „ეკლესიის, მართლმადიდებლობისა და რელიგიის წინააღმდეგ მებრძოლები“ არიან. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების თქმით, „სამშობლოს ღალატის მუხლით, მკაცრად უნდა გასამართლდნენ ეკლესიის მტრები.“

საანგარიშო პერიოდში პარტია „ქართულმა ოცნებამ“ დაჩქარებული წესით დააინიცირა ანტიკონსტიტუციური და არადემოკრატიული რეპრესიული კანონები, მათ შორის [ცვლილებები](#) „გენდერული თანასწორობის შესახებ“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონებში, „სისხლის სამართლის“ კოდექსში. პარლამენტის რეგლამენტის ცვლილებით, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, არასამთავრობო ორგანიზაციათა მონაწილეობა სავალდებულო აღარ იქნება. ასევე, „ქართული ოცნების“ პარლამენტმა [დააინიცირა](#) „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი“ (FARA). განმარტებითი [ბარათის მიხედვით](#), „ქართულ ოცნებას“ სურს, ამ კანონის არასამთავრობო ორგანიზაციებზე გავრცელება, რისი პოლიტიკური მიზანიც, დამოუკიდებელი და კრიტიკული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უკიდურესი შეზღუდვაა.

„უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტის“ (FARA) ინიცირებასთან დაკავშირებით, პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერების მთავარი გზავნილებაა, რომ უცხო სახელმწიფოები (იგულისხმებიან დასავლელი პარტნიორები) საქართველოს შიდა საქმეებში ერევან, აფინანსებენ რევოლუციის მოწყობასა და სიძულვილის გაღვივებას. მათი მიზანია, „უცხო იდეების“ შემოტანა და წარმოჩენა, თითქოს ეს არის საქართველოში საზოგადოების ინტერესი. ამ ყველაფერს კი, დასავლეთის ქვეყნები არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების მეშვეობით ახდენენ. „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის [განცხადებით](#), „ყოველი რადიკალი ენჯეოს უკან, რადიკალი დონორი დგას“.

„ქართული ოცნება“ და მისი სატელიტები ღიად ესხმიან თავს დასავლელ პარტნიორებს, კონკრეტულ ევროპელ პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს, მათ შორის ევროკავშირის ელქს საქართველოში. მათი თქმით, წარსულში USAID-ის, და დღემდე ევროკავშირის მიერ გამოყოფილი დახმარება საქართველოში რადიკალიზმის დაფინანსებას და ანტიეკლესიურ საქმეს ხმარდება.

## 1.1. ქართული ოცნების ფსევდორელიგიური ნარატივი ქრისტიანობის დაცვასთან დაკავშირებით

„ქართული ოცნება“ ცდილობს თავი წარმოაჩინოს ქრისტიანობის დამცველად, მაშინ როდესაც ოპონენტების დასასჯელად იღებს რეპრესიულ ანტიდემოკრატიულ [კანონებს](#) და მშვიდობიან საპროტესტო აქციებს ძალადობრივი და უკანონო მეთოდებით ახშობს. „ქართული ოცნება“ და მისი სატელიტები ოპონენტებს მოიხსენიებენ „უღმერთოებად“, „ეკლესიის, მართლმადიდებლობისა და რელიგიის წინააღმდეგ მებრძოლებად“, რაც მიზნად ისახავს საზოგადოებაში წინააღმდეგობის მოძრაობის დისკრედიტაციას და ღირებულებითი კონფლიქტის სურათის შექმნას. მათ ნარატივში, „ქართული ოცნება“ არის პოლიტიკური ძალა, რომელიც იცავს სარწმუნოებას, ტრადიციულ ფასეულობებსა და სახელმწიფოს სუვერენიტეტს.

[ირაკლი კობახიძე](#), „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, ინტერვიუ შვეიცარიულ ყოველკვირეულ ჟურნალ Die Weltwoche-თან, 10 თებერვალი: „ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ქვეყანაა მსოფლიოში და ამიტომაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ქრისტიანობას. ასე რომ, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ჩვენი რელიგიის დასაცავად. ქრისტიანობისა და რელიგიის დაცვა, ეს ჩვენი ისტორიის ნაწილია“.

[მიხეილ ყაველაშვილი](#), „ქართული ოცნების“ პრეზიდენტი, ინტერვიუ ფრანგულ მედიასაშუალება Radio Courtoisie-სთან, 18 თებერვალი: „...საქართველომ აღარ უნდა დაუშვას უცხოელი მინისტრების ჩარევა არჩევნებსა და ქვეყნის შიდა საქმეებში... ჩვენი ოპონენტები გვესაუბრებიან ადამიანის უფლებების შესახებ, მაგრამ მათ მიაღწიეს იმ წერტილს, როდესაც 8 ან 9 წლის ბავშვს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სქესის შეცვლის შესახებ. ჩვენ გვაქვს რესურსები: ჩვენ გავაერთიანებთ ჩვენს საზოგადოებას, როგორც კი უცხოური ჩარევა შეწყდება, რათა გავერთიანდეთ სამი ძირითადი პრინციპის გარშემო: მამული, ენა და სარწმუნოება... ჩვენი ქრისტიანული რწმენა მჭიდროდა დაკავშირებული ჩვენს იდენტობასთან. ჩვენ ღვთისმშობელი გვიცავს“.

**„სამშობლოს ღალატის მუხლით მკაცრად უნდა გასამართლდნენ ეკლესიის მტრები“**

საანგარიშო პერიოდში, პარტია „ქართული ოცნება“ აგრძელებს ანტიკონსტიტუციური და არადემოკრატიული რეპრესიული კანონების დაჩქარებული წესით მიღებას. ერთ-ერთი მათგანია სისხლის სამართლის კოდექსში „სამშობლოს ღალატის“ მუხლის დამატება. 19 თებერვალს, „ქართული ოცნების“ პარლამენტმა 83 ხმით კანონპროექტს მხარი უკვე [დაუჭირა](#).

მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილების საჭიროებაზე საუბრისას ისინი მანიპულაციურად იყენებენ ეკლესიის მტრობის არგუმენტსაც.

ირაკლი ზარქუა, „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრი, 18 თებერვალი: „ის, ვინც საკუთარ ქვეყანას მტრობს, ეკლესიას მტრობს, მტრობს ქართულ ინტერესებს, ბუნებრივია, გასამართლდება მკაცრად.“

### **ისტორიული მაგალითების მოხმობა ანტიეკლესიური ნარატივების გასამყარებლად**

შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავჯდომარე, 8 თებერვალი: „დავით აღმაშენებელმა ყველაზე მკაფიოდ და წარმატებით განსაზღვრა ქვეყანა, როგორც მონარქისა და ეკლესიის ერთობა, გამთლიანებული ერთი, მრავალფეროვანი სამეზობლო ურთიერთობებითა და ქრისტიანულ იდენტობაზე აგებული პოლიტიკით. საქართველოს ყველა თაობას, ნებისმიერ დროსა და ადგილას, გააჩნია პასუხისმგებლობა არა მხოლოდ აწმყოსა და მომავლის, არამედ ისტორიისა და წინაპართა წინაშე.“

## **1.2. ანტიდასავლური და პროპაგანდისტული გზავნილები პარტნიორი ქვეყნებისგან მიღებულ ფინანსურ მხარდაჭერასთან დაკავშირებით**

**გზავნილი: „USAID ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას, ეკლესიისა და ეროვნული ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლას აფინანსებდა.“**

საანგარიშო პერიოდში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციის კამპანია ანტიდასავლურ კონტექსტში განსაკუთრებით გააქტიურეს. 20 იანვარს, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო დახმარების გადახედვის შესახებ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის აღმასრულებელი ბრძანების შესაბამისად, დაპაუზდა USAID-ის დაფინანსების ყველა ახალი ვალდებულება განვითარების მიზნების შეთანხმებების (DOAGs) ფარგლებში. „ქართული ოცნების“ შეფასებით, ეს ფაქტი აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ცვლილებაა, რომელიც, მათი თქმით, აქამდე საქართველოში ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას, ეკლესიისა და ეროვნული ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლას აფინანსებდა.

ირაკლი ზარქუა, „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრი, 1 თებერვალი: „აგერ ახლა გამჟღავნდა, მათ შორის, ერთ-ერთი USAID-ი, რომელიც მილიონობით აფინანსებს ამ ავანტიურებს, სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერას და ჩვენ ვიცით რა მხარდაჭერაც არის. სოროსის ფონდის, იმ ღირებულებების და იმ მრწამსის, რომ -



მოკალი საკუთარი მამა, საკუთარი დედა, უარყავი ეკლესია, უარყავი მართლმადიდებლობა, უარყავი ტრადიციები, შენ უნდა ემსახურო მხოლოდ უცხო ქვეყანას... ამერიკელების, ხალხის ფული ემსახურებოდა რას - რომ აქ გიგაურებმა, ლომჯარიებმა და ამ უსამშობლოებმა შემდეგ გადატრიალებები მოახდინონ?”

ვლადიმერ ბოჭაძე, „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრი, 4 თებერვალი: „ფინანსდებოდნენ ის პოლიტიკოსები, „ენჯოები“, ტელევიზიები, რომლებიც ჩვენს სახელმწიფოს, ეკლესიას, იდენტობას ებრძოდნენ. ამის არაერთი დამადასტურებელი ფაქტი გვაქვს. სწორედ ამიტომ გვსჯიდნენ როგორც ჩანს ჩვენ გამჭვირვალობის გამო, რომ ღია და ნათელი არ ყოფილიყო რაში, როგორ და რამდენი იხარჯებოდა.“

თამარ ჩიბურდანიძე, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტია „ხალხის ძალის“ წევრი, 5 თებერვალი: მათთვის მთავარი არა პრინციპები, არამედ ფინანსური ღირებულებებია. არავის გაუკვირდეს, რომ გიგაური და მისნაირები ახლა ტრადიციების დამცველებად მოგვევლინონ, ხმალამოწვდილებმა „დაიცვან“ ეკლესია, რწმენა, ოჯახური ღირებულებები და თქვენ წარმოიდგინეთ, ქალსა და კაცს შორის უფლის მიერ დაწესებული ურთიერთდამოკიდებულებაც კი. რას იზამ, როცა მიჩვეული ხარ განცხრომით ცხოვრებას, აზრი აღარ აქვს ვის უფლებებს იცავ, მთავარია ფული აიღო“.

5 თებერვალს, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარემ და „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრმა, სოზარ სუბარმა, პროპაგანდისტული ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემაში „იმედი LIVE“ USAID-ის შესახებ ისაუბრა. სადაც აღნიშნა, რომ მავნებლური პოლიტიკა და პროექტები, რომლებიც საქართველოში USAID-ის დაფინანსებული პროექტებით და მათი ქართველი აგენტების ხელით ხორციელდებოდა, ემსახურებოდა იმ მიზანს „რომ სუვერენიტეტი წაგართვან და შენს ტრადიციას და რელიგიას ებრძოლონ“. ასევე, ისაუბრა საქართველოში ამერიკის ყოფილი ელჩის კელი დეგნანის და მოქმედი ელჩის რობინ დანიგანის „მხილებაზე“, აშშ-ს მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარების კონტექსტში.<sup>1</sup> მისი თქმით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, აშშ-ს მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარება ნაცვლად 6 მილიარდისა შეადგენს 3,5 მილიარდს და „იმ სამ ნახევარი მილიარდიდან ნახევარი არის ასეთი ანტისახელმწიფოებრივი მავნებლობები“.

<sup>1</sup> 2024 წლის 28 თებერვალს აშშ-ის ელჩმა, რობინ დანიგანმა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე აღნიშნა, რომ აშშ-მა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ 32 წელში ექვს მილიარდ დოლარზე მეტის დახმარება გაუწია. რადიო თავისუფლება, 28.02.2024: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32840506.html>

**გზავნილი: „ევროკავშირის მიერ გამოყოფილი თანხა საქართველოში რადიკალიზმის დაფინანსებას და ანტიეკლესიურ საქმეს მოხმარდება“**

„ქართული ოცნების“ და მისი წარმომადგენლების მხრიდან ხშირად გვხვდება როგორც ზოგადად ევროკავშირის წინააღმდეგ, ასევე ცალკეულ ევროპულ პოლიტიკოსებზე მანიპულაციური და პროპაგანდისტული თავდასხმის შემთხვევები.

2025 წლის 27 თებერვალს, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის [თანახმად](#), საქართველოში ევროკავშირის ახალი პროექტი „იმოქმედე საქართველოსთვის — მტკიცე და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ტრანსფორმაციისთვის“, დაიწყო. საქართველოს სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის გამოყოფილ ამ დახმარებას გამოეხმაურენ ქართული ოცნების წარმომადგენლები. სამთავრობო პროპაგანდისტული ტელეკომპანია „იმედის“ [სიუჟეტის](#) მიხედვით, კი „მმართველი გუნდი დარწმუნებულია, რომ თანხა საქართველოში რადიკალიზმის დაფინანსებას მოხმარდება.“

**გზავნილი: საქართველოში ევროკავშირის ელჩი არის მეფისნაცვალი, რომელიც ლანძღავს ქართულ ეკლესიასა და ტრადიციებს**

„ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის“ წევრის [გურამ მაჭარაშვილის](#) თავდასხმის სამიზნე ამერიკული ორგანიზაციები, ევროკავშირი და საქართველოში ევროკავშირის ელჩი გახდა: მისი თქმით, ევროკავშირის ელჩი საქართველოში, პაველ ჰერჩინსკი, „არა თუ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს აღარ წარმოადგენს, არამედ პირდაპირ წარმოადგენს „დიფსთეიტს“... არა მარტო ფულის ნაწილში გადაიბარა ევროკავშირის საელჩომ NED-ის [აშშ-ის დემოკრატიის ეროვნული ფონდი] და USAID-ის ფუნქციები, არამედ პოლიტიკურ ნაწილშიც გადაიბარა იმიტომ, რომ ჩვენ ვხედავთ, რომ ევროკავშირის ელჩი არის ჩვეულებრივი მეფისნაცვალი, ადრე რომ იყო წარმომადგენელი, რომელიც ლანძღავდა ქართულ ტრადიციებს, ქართულ ეკლესიას და მიდიოდა ქართველი ხალხის არჩევანის წინააღმდეგ“.

### 1.3. პროვეროპული აქციების დისკრედიტაცია რელიგიურ კონტექსტში

13 თებერვალს საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე საქართველოს საპატრიარქოს განცხადება [გაავრცელა](#), რომელიც მცხეთის ჯვრის მონასტრის წინააღმდეგ ვანდალიზმის ფაქტს უკავშირდებოდა. სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს [განცხადებით](#), უცხოეთის მოქალაქე მცხეთის ჯვრის მონასტრის კედლებს ფეხებს ურტყამდა და ცეკვავდა. ეს ფაქტი სამთავრობო პროპაგანდისტულმა ტელეკომპანია „იმედმა“ [გაავრცელა](#) და ეს „უცხოეთის მოქალაქე“ საქართველოში მიმდინარე დემონსტრაციების აქტიურ მონაწილედ გამოაცხადა.

„ქართული ოცნების“ პროპაგანდის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილი, სწორედ მიმდინარე დემონსტრაციების დისკრედიტაცია, დემონსტრანტების ეკლესიასთან და ქრისტიანულ ღირებულებებთან მებრძოლ ძალად წარმოჩენაა.

## 2. მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილის პროპაგანდისტული, ანტიდასავლური განცხადებები

მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ნაწილი ქადაგებებსა და საჯარო გამოსვლებში აგრძელებს როგორც ხელისუფლების მხარდამჭერ, ისე სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებების და ევროკავშირის საწინააღმდეგო რიტორიკას. პროევროპულ საპროტესტო დემონსტრაციებს, რომლებიც 2024 წლის ნოემბრიდან უწყვეტად მიმდინარეობს თბილისსა და სხვა ქალაქებში, ისინი „თავსმოხვეულ და მართულ პროცესად“ განიხილავენ, ხოლო დასავლეთს „გეი პროპაგანდას“ და გარყვნილებასთან აიგივებენ.

**გზავნილი: დასავლეთი ომში გვითრევდა**

ჭყონდიდის, ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტის [სტეფანე კალაიჯიშვილის](#) 10 თებერვლის ქადაგება ანტიდასავლურ გზავნილებს ეფუძნება:

„თავქუდმოგლეჯილები მივენდეთ დასავლეთს, უკვე დაიწყეს თავიანთი გეგმების განხორციელება და საქმე იქამდე მივიდა, რომ ობობასავით ქსელში აღმოვჩნდით ამ უცხოური გავლენების... ისეთ ომში გვითრევდნენ, როგორშიც ამხელა ქვეყანა უკრაინა“.

**გზავნილი: USAID: ბოროტების მანქანა, რომელიც თავს გვახვევდა „ლგბტ იდეოლოგიას“**

ამავე ქადაგებაში მიტროპოლიტმა ისაუბრა, რომ მიმდინარე საპროტესტო აქციები იმართება გარე ძალების დაფინანსებით. მისი განცხადებები თანხვედრაშია „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტულ ნარატივებთან, რომ დასავლეთი საქართველოში ლგბტ იდეოლოგიას ავრცელებს და მას იძულებით გვახვევს თავს: „რასაც ჩვენ გვახვევდნენ თავს ამას იქ (აშშ) ემახდნენ „ვოუქის“ იდეოლოგიას, ბოროტი ძალების გამოღვიძებას ... მთელი ამ ბოროტების მანქანა კი USAID-ია ... სამხრეთ აფრიკაში კაცები, რომლებიც კაცებთან დაამყარებდნენ კავშირს, გარკვეულ დაფინანსებას ლეზულობდნენ ამათგან“.

**გზავნილი: საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების დიქტატურა გვექონდა, რომელსაც ევროპა საკუთარი ქვეყნის მტრობისთვის აფინანსებდა**

ამავე ქადაგებაში მიტროპოლიტმა ისაუბრა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ევროპული დაფინანსების მიზნებზე: „ახლა ვილაგებთ დიქტატურაზე ალაპარაკდნენ, და ვერ გავიგე, ამ ენჯელების დიქტატურა გვექონდა, ისეთი რომ მთელი ქვეყანა იყო ამით ქსელში გახვეული და ახლა ეს ენჯეობი დიქტატურაზე ლაპარაკობენ, იმიტომ რომ მაგათ ვილაცა ველარ აფინანსებს და აღარ აფინანსებს... იქ [ევროპაში] არ არის ისე, რომ შენ მუქთად რომ გაძღვევენ, იმისთვის გაძღვევენ რომ შენ ქვეყანას მტრო და არა იმისთვის, რომ ვთქვათ ევროპაში შენ ვინმეს უნდიხარ ან ვინმე გელოდება.“

**დასავლეთის გაიგივება 'ერთსქესიან ქორწინებასთან'**

სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსი [სპირიდონ აბულაძე](#) წინა ქადაგებების მსგავსად, 9 თებერვლის ქადაგებისას ანტიდასავლურ და „ქართული ოცნების“ პროპაგანდის თანმხვედრ განცხადებებს აკეთებდა: „ევროპის ქვეყნებში, ევროკავშირში, არის 29 თუ 30 ქვეყანა და ერთის გარდა ყველგან დაკანონებულია ერთსქესიანთა ქორწინება, გათახსირება და გარყვნილება“. საპირწონედ კი „ქართული ოცნება“ და პირადად ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი დალოცა და „გვი პროპაგანდისა“ და „გარყვნილების“ წინააღმდეგ მებრძოლად წარმოაჩინა. ასევე მრევლს „მთავრობისა“ და პირადად ბიძინა ივანიშვილისთვის ლოცვისაკენ მოუწოდა.

**დასავლელი პარტნიორების მრავალწლიანი დახმარებისა და მათთან თანამშრომლობის უარყოფა**

ფერისცვალების სახელობის ტაძარის დეკანოზმა, [შალვა კეკელიამ](#), რომელიც გამოირჩევა მიმდინარე საპროტესტო აქციების დისკრედიტაციით, 8 თებერვლის ქადაგებაში აღნიშნა, რომ საქართველოს არ ჰყავს და არც ჰყოლია მეგობარი ქვეყანა, ვინც მას დაეხმარებოდა. ამ განცხადებით მან უარყო პარტნიორი სახელმწიფოების მრავალწლიანი წვლილი საქართველოს არაერთი მიმართულებით დახმარებაში. „ჩვენ მეგობარი ქვეყანა, დამხმარე ქვეყანა, არ გვყოლია არასოდეს არავინ, არასოდეს. გადახედეთ, წაიკითხეთ საქართველოს ისტორია, საქართველოს ისტორია ისწავლეთ და მერე მიხვდებით, აი როდესმე რომელიმე ქვეყანა თუ დაგვხმარებია და როგორ გვაქვს ვინმეს იმედი?!“

### 3. მართლმადიდებელი სასულიერო პირების ძალადობის დამგმობი და დემონსტრანტების მხარდამჭერი განცხადებები

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ნაწილი კვლავინდებურად კრიტიკულად ეხმაურება „ქართული ოცნების“ ანტიევროპულ კურსს, გმობს ძალადობას და რეპრესიებს მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ და მათდამი ღია მხარდაჭერას გამოხატავს.

#### 3.1. ძალადობის დაგმობა და პასუხისმგებელი პირების კრიტიკა

[ზენონ იარაჯული](#), დმანისისა და აგარაკ-ტაშირის მთავარეპისკოპოსი, 4 თებერვალი: „რის მიღწევას ცდილობთ ბატონო ბიძინა ან რა დაგიშავებთ? თითქმის არავინ დაგვტოვებთ ვისაც არ გადაგვიარებთ. რა გინდათ. დაჩაგრულ თაობათა საცხოვრისად გინდათ აქციოთ ეს ქვეყანა? არა! არა! არა! ჯვარზე მიმავალმა ჯვარცმულმა თქვა: „მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, მშვიდობას ჩემსას გაძლევთ თქვენ: მაგრამ ისე კი არა, როგორც წუთისოფელი იძლევა. ნუ შეკრთება თქვენი გული, ნურც შეშინდება.“ აი მშვიდობა რა არის და ვისგან მოდის და როგორ მოდის, ბატონო ბიძინა. სხვისი ბედნიერი ცხოვრებისათვის გაღებული საკუთარი მსხვერპლით. სხვა დანარჩენი „მშვიდობა“ უქმი ზმანებაა, სინამდვილეს რომ ეთამაშება. თქვენ მშვიდობა არ მოგაქვთ.“

[გიორგი წეროძე](#), დეკანოზი, 3 თებერვალი (პირადი ფეისბუქ გვერდი): ღია წერილი ზვიად ხარაზიშვილს და ყველას ვინც მის გარშემოა. „ზვიად, თქვენ სცოდავთ როცა სასტიკად ექცევით პროტესტანტს. ყველა ვინც თქვენს გარშემო ასე იქცევა ასევე მიიმედ სცოდავს. შეინანეთ, შეცვალეთ თქვენი ქმედებები და ისინი მინიმუმ კანონის მაქსიმუმ კი ღვთაებრივი სიმაღლის ფარგლებში მოაქციეთ. ეს წერილი იქნება მოწმობა, რომ თქვენ იცოდით, რომ სცოდავდით და თუ არ შეინანებთ თავის მართლებას უფრო გაგიჭირდებათ.“

[თამაზ ლომიძე](#), მიუნხენის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი, 11 თებერვალი: „...როგორც კი ხელისუფლება იწყებს ხალხის მოტყუებას, ცემას, შეურაცხყოფას და ძალადობის წახალისებას, იქ რეალურად უკვე დამთავრებულია მისი და ხალხის ურთიერთობა. შეუძლებელია ამ ბორბლის უკან გადატრიალება. გასაკვირია ისაა, როგორ აბრმავებს ხოლმე ხელისუფლებას ძალაუფლების დაკარგვის შიში, რომ ამის დანახვა აღარ შეუძლია.“

[ილია ჯინჯოლავა](#), კონსტანტინოპოლის ქართული სამრევლოს წინამძღვარი, არქიმანდრიტი, 1-ლი თებერვალი: „ქვეყანაში ძალადობრივი, ტირანიული რეჟიმი ბოგინობს. ეს არის სისტემა, რომელიც სიმართლეს დევნის, უსამართლობას ამკვიდრებს და ადამიანურ ღირსებას თელავს. ასეთ რეჟიმს ვერ ექნება გამართლება ქრისტეს სახელით, რადგან ქრისტე არის ჭეშმარიტება, თავისუფლება და სიყვარული, ხოლო ძალადობა და ტირანია – ბოროტების იარაღი...“

[დოროთე ყურაშვილი](#), არქიმანდრიტი, ბეთლემის ტაძრის წინამძღვარი, 3 თებერვალი: „მივხვდი, რომ ეს ე.წ. მთავრობა ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ არ მიდიოდა და არც ორი ფეხით შედიოდნენ ევროპაში... ეს ბავშვები სრულიად უსამართლოდ არიან ციხეში. სხვისი შვილი არ ეცოდებათ, დედა. საოცრება იყო, დედა უკვდებოდა და ციხეში დატოვეს კაცი. კაი, დატოვე პატიმრობაში, მაგრამ გააგზავნე ჯგუფი და მიხედე დედას. დედას ასე რომ უკლავ, როგორ შეიძლება ქრისტიანი იყო. ამას რაში სჭირდება ევროპა, ან ამერიკა. ქრისტიანები ესენი არ არიან“.

[დავით ნაჭყებია](#), მღვდელი, 1-ლი თებერვალი: „...ყოველთვის ვემიჯნები ძალადობას. ... ვგმობ, რუსეთის ოკუპაციას და ვიდრე საკუთარ სახლში არ ჩავალ, ჩემი მეგობარი ვერ გახდება. რუსეთს ჩვენს სისხლში აქვს გასვრილი ხელი და მათთან მარტო დარჩენა არ ვარგა...“

### 3.2. განცხადებები დემონსტრანტების მიმართ რეპრესიებზე

დემონსტრანტების წინააღმდეგ „ქართული ოცნების“ რეპრესიული კანონმდებლობისა და საპოლიციო ძალების გამოყენებით არაპროპორციულ და არაკონსტიტუციური ჯარიმების დაკისრებასთან დაკავშირებით დმანისისა და აგარაკ-ტაშირის მთავარეპისკოპოსმა [ზენონ იარაჯულმა](#) განაცხადა რომ ეს პრაქტიკა „სრულიად თვალსაჩინო უთანასწორობა, უსამართლობაა“. ამიტომაც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ნებისმიერი თანხის მიღებზე უარი განაცხადა.

[ილია თოლორაია](#), არქიმანდრიტი, 16 თებერვალი: ხელისუფლებას ზუსტად ეს ორი საზომი უჭირავს, ერთი საზომი თავიანთის მეორე საზომი ხალხისთვის. ანუ სჯიან ადამიანებს უკანონოდ, იჭერენ, დაუსრულებელი ჯარიმები, მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც ძალადობენ, რომლებიც ქუჩაში ახალგაზრდებს ცემენ და ნიღბებით დადიან, არცერთი მათგანი არ არის დასჯილი. ეს არის ზუსტად ორი საწონი რომელიც ღმერთისთვის სამაგელია და ღმერთს არ მოსწონს. დღეს ჩვენ ქვეყანაში გვესმის სიტყვა, რომ არ იქნება სამართალი, არ იქნება მშვიდობა, ეს ნამდვილად ასეა, ჭეშმარიტად ასეა, ეს არის თვითონ სახარებისეულადაც რომ შევხედოთ. „სიმართლე არის ყველაზე მთავარი ჩვენს ცხოვრებაში! სიმართლეა ღმერთი და სამართლიანობაა ღმერთი!...სიმართლის არადიარება და სიმართლის არდანახვა, ეს არის ყველაზე მძიმე ცოდვა!“

[დოროთე ყურაშვილი](#), არქიმანდრიტი, ბეთლემის ტაძრის წინამძღვარი, 23 თებერვალი: „დღეს ჩვენ გვიცხადებენ (მმართველი ძალა), რომ ქრისტიანები არიან, ეკლესიას იცავენ, მართლმადიდებლობას იცავენ...და სოციალურად დაუცველს, რომელსაც 60 ლარი აქვს, 5 000 ლარით აჯარიმებენ!...რაში გვანან ესენი ქრისტეს?!“

### 3.3. განცხადებები მზია ამალლობის უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით

11 იანვარს, ონლაინგამოცემების, „ბათუმელების“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელი და დირექტორი მზია ამალლობელი ადმინისტრაციული წესით დააკავეს, შემდეგ კი გამოუშვეს. ამალლობელის ინფორმაციით, უკანონო დაკავებისას მას არაადამიანურად ეპყრობოდნენ, რაც გამოიხატა სიტყვიერი შეურაცხყოფით, სახეში შეფურთხებით, სისხლის სამართლის წესით დაკავების მუქარით და ფიზიკურად გასწორების მცდელობით. ადმინისტრაციული დაკავებიდან რამდენიმე საათში, - უკვე 12 იანვარს, - ხელახლა [დააკავეს](#), ამჯერად სისხლის სამართლის წესით, პოლიციელისთვის სილის გაწვნის გამო. მას ოთხიდან შვიდ წლამდე პატიმრობა ემუქრება. წაყენებული ბრალდება საქმის გარემოებებთან შეუთავსებელია და მხოლოდ პოლიტიკურ მოტივზე [მიანიშნებს](#). მზია ამალლობელმა დაკავების მომენტიდან შიმშილობა დაიწყო, რომელიც 18 თებერვალს შიმშილობიდან 38-ე დღეს ჟურნალისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების არაერთი მოწოდების შემდეგ შეწყვიტა. საქმე “ქართული ოცნების” მხრიდან პოლიტიკური მართლმსაჯულებისა და მედიის თავისუფლების შეზღუდვად [განიხილება](#).

[გიორგი წეროძე](#), დეკანოზი, 1-ლი თებერვალი (პირადი ფეისბუქ გვერდი): „მზია ამალლობელისთვის ...შეარბილეთ ბრალდება. თქვენც კარგად იცით, რომ ამ ვითარებასა და ამ ქმედებისთვის სისხლის სამართლის მუხლით საქმის აღძვრა და წინასწარი პატიმრობა შურისძიება და ფაქტობრივად სასჯელის დაწესებაა. (ასეა არა მარტო მზია ამალლობელისთვის). დაუთმეთ ადგილი სასამართლოს. გახსოვდეთ ყველა ვინც ქრისტეს მოსვლამდე მიიტაცებს სასჯელის გამოტანის უფლებას-არის ანტიქრისტე. მორწმუნისთვის ეს დამღუპველია“.

[თამაზ ლომიძე](#), მიუნხენის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი, 10 თებერვალი: „სახელმწიფოს მხრიდან ამდენი დაუსჯელი და აღვირახსნილი ძალადობის შემდეგ, ერთი მოშიშშილე ქალის ციხეში გამოკეტვა მოძალადე პოლიციელისთვის გაწული ერთი სილის გამო არის ისეთი ჯოჯოხეთური უსამართლობა აუცილებლად ზეცას რომ მისწვდება და ღვთის რისხვასაც რომ გამოიწვევს ამის ჩამდენთათვის. იცოდეთ ეს კარგად! ღმერთის თვალი ყველაფერს ხედავს!“



[დოროთე ყურაშვილი](#), არქიმანდრიტი, ბეთლემის ტაძრის წინამძღვარი, 3 თებერვალი: „როგორ არის, იცით? მაგალითად, ჟურნალისტი ციხეში ზის იმის გამო, რომ პოლიციელს ხელი დაარტყაო და პოლიციელი ხელუხლებელიაო. პოლიციელი ხელუხლებელი მაშინ არის, როდესაც პოლიციელისგან უდანაშაულო ადამიანი ხელუხლებელია. ასევე, რაღაც კანონებს იღებენ - როდესაც შენ თვითონ არღვევ ყველაზე დიდ კანონს, კონსტიტუციას, რომლის უფლებაც არ ჰქონდათ, რომ რაც კონსტიტუციაში წერია, იმის საწინააღმდეგო განცხადებას აკეთებენ, მაშინ რატომ არის ხალხი ვალდებული, რომ კანონდამრღვევს კანონებში დაემორჩილოს“.

[დოროთე ყურაშვილი](#), არქიმანდრიტი, ბეთლემის ტაძრის წინამძღვარი, 2 თებერვალი: „ჩვენი ხელისუფლება საერთოდ არ არის ახლოს ქრისტიანობასთან, რადგან უსამართლობა ხდება! უსამართლობაა ყველგან! უსამართლოა მოსამართლე, უსამართლოა დიდი თუ პატარა!“